

5
1954

XXXVII

საქართველო
საბჭოთაობა



აქ დროებით ფრიალი და მოვრობებს ხალხი სვდება!



აქ კი გულის ფრიალია, — მოვრობები გზის გულს სვდება...

ს ი ა ნ ბ ი

№ 21 გამომცემლობა „კომუნისტი“ წელი XXXI, ფასი 2 ზან. თბილისი ნოუბარი 1954

ოცდაჩვიდმეტ ვარსკვლავებად,
ოცდაჩვიდმეტ წელიწადს
გადუვლია. ოქტომბრის მზით
მოუქარგავს ვრცელი ცა:

ჩვენი ცა და ჩვენი მიწა,
ჩვენი მხარე მშობელი,
დიდ მსოფლიოს ჩირაღდანი,
ბნელის დამამხობელი,

დღეს დიდების სიმღერებით
რომ ზეიმობს ამ თარიღს,
მით ჩვენს გულში მზე კაშკაშებს,
მტრის გულს სუსხავს ზამთარი!

ასწით დროშა, თქვით სიმღერა,
ჰანგი ჰანგმა დაფაროს,
გამარჯვების მძლე გუგუნი
დე. გადასწყდეს სამყაროს!

დე, მსოფლიოს ყველა კუთხეს
მშვიდობის მზე ფერავდეს,
დე, ფარფატა თეთრი მტრედი
ყველგან ცასა სერავდეს,

ჩინეთის და საბჭოეთის
ხალხთა ძმური სახელი
დე, ისმოდეს მეგობრობის
საამაყო ძახილით!

რომ ხალხების მეგობრობამ
და ურყევმა მშვიდობამ,—
დაამზოს და დაანაცროს
ბნელ ძალების ფლიდობა,

რომ ოქტომბრის მზით ხარობდეს
ყველა ქვეყნის მშრომელი,
ახალ შუქის, კომუნიზმის
ნათელ შუქის მდომელი.


ს. ფაშალიშვილი



გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წარმოიშვა ლოზუნგი
„გერმანელებო, ერთ მაგიდაზე!“ ეს ლოზუნგი ყველა გერმანელი პატრი-
ოტის დევიზად გადაიქცა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმა-
ნიაში.

მაგიდის გაერთიანება

ნაბ. გ. ლომიძე



ერთიანი მაგიდის წინააღმდეგი... გასაჭირშია!

სერაფიონი გუნდურაძე!

თარგმანი
გიორგიშვილი

ერთ დღეს, პაპანაქება სიცხის დროს, ფა-
ლიაშვილის შესახვევში (№ 34) მეორე სარ-
თულზე მაცხოვრებლებს ჰეროდან ისეთი ღვარ-
თქაფი დაეცათ, რომ შეშინებულემა ტაშ-
ტებსა და კასრებს დაუწყეს ძებნა.

— უშველეთ, გადაარჩინეთ ლოგინი, სა-
ნოვაცე, ტანსაცმელი!

— რა უეცრად წამოვიდა წვიმა! — გას-
ძახა მეზობელმა მეზობელს. — ღრუბელიც კი
არა ჩანს ცაზე.

— ცაზე არა ჩანს, მაგრამ აგერ, მესამე
სართულზე ისეთი საადროდ ღრუბელი გამო-
ჩნდა, რომ მალე ელვა და მეხი თავს დაგვა-
ტყდება.

— რომელი ღრუბელი, ქა?

— რომელი და სერაფიონ ნინიძე...

— უი, ჩვენს თვალებს!

— ვაი, გვაშორე!

— სერაფიონ ნინიძე მეხზედაც უარესია,
ჩუმად იყავით, ფრთხილად იყავით!

ატყდა მთელ სახლში ჩოჩქოლი და ჩურ-
ჩული, მაცხოვრებლებმა კარები ჩაკეტეს და
შეშინებულემა თვალები მიაპყრეს მესამე
სართულზე „ტრუსიკში“ გამოწყობილ,
მბრღელნივ ფიგურას.

ეს გახლდათ აღნიშნულ სახლში მცხოვ-
რებთათვის მეხი და ღვთის რისხვა — სერა-
ფიონ ნინიძე.

სერაფიონ წყლით სავსე ვედროებს მიარ-
ბენინებდა თავის ოთახში და იატაკის ამოც-
ვივნილი ფიცრების შუა აპირქვევებდა, აჩენ-
და ნიაღვარს, „წარღვნას“ უქადდა დაბლა
სართულში მცხოვრებლებს.

— გადაიღე, სერაფიონ, მთლად ნუ ამო-
გვიღებ ოთახი! — შესთხოვეს მეზობლებმა გან-
რისხებულ „სახლის უფალს“ სერაფიონ ნი-
ნიძეს. მაგრამ იგი, როგორც ყოველთვის,
ახლაც უღმობელი იყო.

— ესეც ჩემი გაჯავრებისათვის... ესეც
ჩემთან მოურიგებლობისათვის... ესეც იმი-
სათვის, რომ თქვენი სიფათი არ მომწონს,
ესეც თქვენ, — გრუხუნებდა სერაფიონი და
ბინძურ წყალს უხვად უგზავნიდა ქვემო სარ-
თულში მცხოვრებ უდანაშაულო მეზობ-
ლებს.

როგორც იქნა, „წვიმამ“ გადაიღო და დე-
დიშობილა ნებტუნ-სერაფიონი აივნის მოა-
ჯირზე შემოჯდა.

— მიყურეთ ხო... მიყურეთ, მე ვარ, სე-
რაფიონი ვარ... მიცანით?... ჰაი თქვენი...
თქვენ მეზობლები ხართ?... ფუჰ... არ გეს-
მით, არა? ახლა გაჩვენებთ სერის!..

და სერაფიონმა პირისაბანს ტაშტი გა-
მოაცალა და ისე ღონივრად მოიქნია, რომ
წყალმა იონა ბროკიშვილის ოთახის აივანზე
მოიღო ჩქაფანი.

— არც ახლა გაიგეთ? არა? ჰო... ჰო...
ავიტყდათ ჩოჩქოლი? ასეა, დიახ, ასე!

— ეს რა ქენი, რა წყალი გადმოასხი,
სერაფიონ?

— რა და ჩვეულებრივი წყალი, შენელუ-
ბული სხედასხვა ძვირფასი ნივთიერებით,
მე თქვენი... — გადმოისროლა სერაფიონმა
მესამე სართულიდან ხუთსართულიანი გინე-
ბა, შემდეგ კი ცარიელი ტაშტით ხელშიელ-
ვის უსწრაფესად დაეშვა კიბეებზე და ისე
დასთხლიშა ტაშტი თავის ახალგაზრდა მე-
ზობელს მ. ბ-ს, რომ სისხლმა მარცხენა
საფეთქლიდან შადრევანივით იფეთქა!

— ასე გინდათ, ყველას ასე გიზამთ, თქვე-
ნი სისხლი უნდა დაველიო!

ამ ხმაურობაზე და ჩოჩქოლზე გამოვარ-
დნილ ე. ბ-ს ჩაუხტა და, როგორც ჭორმა
წიწილა, ისე აიტაცა მესამე სართულზე და
მეზობლებს რომ ხელიდან არ გამოეტაცნათ,
ალბათ, საბრალო ქალს, მართლაც წიწილა-
სავით წაახრჩობდა. ქალის მისაშველებლად
გამოკიდებული მეზობლები რომ დაინახა,
გამხეცებულმა ნინიძემ ე. ბ. აივანზე დააგ-
დო, კარები შეიკეტა და შიგნიდან დაიწყა
მუქარა:

— ასე გიზამთ, ასე, მე სერაფიონ ნინიძე
ვარ! — მეთასეჯერ „აივნობდა“ თავს მეზობ-
ლებს და ეს ხდებოდა არა პირველად, არა
მეოცედ, დაუსრულებლივ.

მაგრამ მისგან წამებულ მეზობლებს ფარ-
ცხალაძესა და წიფვიძეს, კვაჭაძესა და ბრო-
კიშვილებს, ან მის მიერ პირდაპირ ყმად ქცე-
ულ მელაშვილსა და სხვებს ეს „გაცნობა“
ალარ სჭირდებოდათ, მათ კარგად იცოდნენ სერა-
ფიონის ხულიგნობა, მის კომბინაციებს იც-
ნობენ თვით რკ. გზ. პოლიტსამმართველოსა
და რკ. გზ. მომარაგების განყოფილებაში,
სადაც ნინიძე „მოღვაწეობს“, იცოდნენ და
იცნობენ, მაგრამ რატომღაც დღემდე პა-
სუხი არავის მოუთხოვია მისთვის.

— სერაფიონი გახლავარ! — წარუდგენს
ხოლმე მილიციის მორიგეს თავის ავტორი-
ტეტთან „პერსონას“ და ხშირად შავის თეთ-
რად მოჩვენებას ახერხებს.

— სერაფიონი გახლავარ, — გადასძახებს
ის მესამე სართულიდან სახლის სარდაფში
მოტყუებით „შესახლებულ“ ერმილე მელა-
შვილს, რომელიც ტერორის ქვეშ მოუქცევია
და უფასო მოჯამაგირედ გაუხდია.

აბა, გაბედოს მელაშვილმა და მორჩილად
არ ეახლოს; ჭკუაზე მოიყვანს მას სერაფი-
ონი.

— შეშა დააპე და ამოზიდე!

აბა, გულში გაიღოს მელაშვილმა და მორ-
ჩილად არ შეასრულოს, შავ დღეს დააყრის
სერაფიონი.

— წადი გალმა ბაზარში, ღორისთვის
საზამთროს ქერქები მოაგროვე და მოიტანე,
ჩემი ნეზვი დღეს საზამთროს გუნებაზე!

აბა, გაიფიქროს მელაშვილმა და არ წა-
ლასლასდეს საბურთალოს, ან სტალინის სახ.
რაიონის ბაზარში, — სერაფიონი მას „მოათ-
ვინიერებს!“

ასე „ათვინიერებს“ ის ყველა მეზობელს,
მაგრამ საინტერესოა, როდის მოათვინიერე-
ბენ თვით სერაფიონ ნინიძეს?

3. გრძელიშვილი





წერილი სტუდენტებს



სალამი და გამარჯვება, ჩემო მამილო! ალბათ ხშირად მიგონებთ და გაინტერესებთ იმის გაგება, თუ რო-

სტუდენტის სასაღილოში

ნაზ. რ. ეხაძისა
ტექსტი თენგიზ ჩანტლაძისა



ნათქვამია: ერთი თბილისელი გული ცხრა ძმამ გაიყო, წაღო სტუდენტის ერთი სკამი შეიღმა გულითაღმა მეგობარმაო...

გორა ვარ. აგერ უკვე ორი თვეა სტუდენტულაქში ვცხოვრობ მე-12 კორპუსში და მეცნიერული დისციპლინების გარდა, მე აქ ბევრ რამეს ვეცნობი, ბევრ რამესაც ვეჩვევი.

ასე, მაგალითად. ამ ხნის განმავლობაში წყალი სამჯერ სამ-სამი ღლით შეგვიწყვიტეს და ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, რომ გაჩენის დღე ვწყველეთ ამ ყოვლისშემძლე წყლის უქონლობის გამო, რომელსაც თქვენ მანდ არაფრად აფასებთ.

აქვე მახლობლად, ჩვენგან ოცდაათი ნაბიჯის მოშორებით, ქალაქში მოხვეტილ ნაგავსა და სიბინძურეს ყოველ დღე ყრიან და ვაი ჩვენი ფილტვების ბრალი, როცა წყნეთური ქარი უბერავს: ცაში ჩერისა და ქალაქის ნაგლეჯებს აბორიალებს, მტვერსა და ნაგავს ერთმანეთში თანაბარი დოზით ურევს და თავზე გვაყრის. ხანდახან ისეთი კორიანტელი დგება, რომ გზის გაგნება გვიჭირს.

ეს ყველაფერი ყველაფერი და ჩვენს სასაღილოში კვების საქმე როგორ არის მოგვარებული, არ იკითხავ, მამილო? ჩემს სიცოცხლეში პირველად ახლა გადავეჩვიე სურნელოვანი მწვანოლეულობითა და ერბოთი შეზავებული საქმელების ჭამას. აქაური კატლეტი კატლეტს არ ჰგავს, ხარჩო—ხარჩოს, ყაურმა—ყაურმას და... და ხილბოსტნეულის გემო სულ გადამავიწყდებოდა, რომ ამისათვის სპეციალურად ქალაქში არ გვიხდებოდეს წასვლა.

მე აქ ჩაის ალბების ტექნიკაშიც საოცრად დავოსტატდი. აქ ოსტატობა რა საჭიროაო, იტყვი. ყური მიგდეთ, სანამ დავეუფლებოდი ამ რთულსა და ძალადობის სპეციალობას, ზურგზე და გვერდებზე სამპირად ამძვრა ტყავი. ერთხელ, მგონი, დახლზედაც კინალამ მიმაწყლიტეს. ახლა კი გავკაჟდი, გავვარჯიშდი და თავს გაწაფულად ვთვლი. მაგრამ ერთი ამბავი ვერ მომიგვარებია და ამ მხრივ კი თავს როგორ ვუშვებო არ ვიცი. ჩვენი პურის

ნაზ. გ. ფირცხალავასი



თბილისელი ფახზურთელი
ერკვანელ ფახზურთელს: რამდენი წელია ამ თასზე, ოცნებობს თბილისი, ნეტავი შენ მაინც აგედო, თბილისის ვაგზალზე გავლით მაინც მოჰკრავდნენ თვალს ჩვენი გულშემატკივრები.

გამყიდველი ხურდას არასოდეს არ აბრუნებს, ყოველ პურზე 10 კაპიკს იტოვებს, ვთხოვო, როგორ ვთხოვო, სირ-

სამკითხველოში

ნაზ. ნ. მაღაზონაისი



— რა არის ეს?!

— გალაკტიონ ტაბიძის ლექსების კრებული...

— ეს კრებული კი არა, წიგნის ყდაა მხოლოდ, რად მიითვისეთ ფურცლები?

— რა მოხდა, ქალიშვილო, ფურცლები მივითვისე, ლექსები ხომ არ მიმითვისებია?

ცხელია, ახალგაზრდა კაცი ვარ, თავი მომეჭრება, არადა როგორ მოვიქცე, არ ვიცი. ერთხელ ვიანგარიშე: ვთქვათ, ჩვენი პურის გამყიდველი დღეში ჰყიდის 2.000 ცალ პურს. თითო ცალზე, როგორც წესი, იტოვებს 10 კაპიკს. ორიათასჯერ ათი კაპიკი ოცი ათასი კაპიკი ანუ... რა კარგია?! ასევე ხდება ჩვენს კინოში, როცა ბილეთებზე დიდი რიგია და თანაც მოლარე ხურდა ფულის უქონლობას ჩივის...


სხვა მეტი რაღა მოგწერო, ჩემო მამილო. აქ სულ ასეთ და ამაზე უარეს ამბებს განვიცდი, მაგრამ ყველაფერს ხომ სულ ერთბაშად არ მოგწერ, ზოგი შემდეგისათვის იყოს. მშვიდობით. გწერს შენი შვილი

გივი აბრამიშვილი


ქართული კალენდარი 1924 წლის იანვარი

(გულუგუბანის წარმოდგენით)

საქართველო



1. დაიწყო თამაშის ტრანსლაცია



2. მაყურებლები დიდი ინტერესით
 ადევნებდნენ თვალყურს ქართველი სპორტ-
 სმენების სწრაფ და აზრიან კომბინაციებს.




3. ეგვიპტელები ზუსტად
 იუენებდნენ საჯარიმო სროლას.




4. ქართველ კალათბურთელებს ტაშით შეხვდნენ


ნაბ. გ. ფირცხალავასი



5. მსაჯმა ოქმში შეიტანა
 ქართველ სპორტსმენთა გამარჯვება.



6. გივი აბაშიძის წერილი დედას ეგვიპტიდან



7. სტუმრებს გადაეცათ ჯილდო.



8. კალათბურთელთა

გულუგუბანის წარმოდგენით



ნახ. ა. კანდელაკისა

უზრდელები

— ვახ, ეს რა არი, თურმე რა უზრდელო ხალხი ცხოვრობს ამ ეზოში: ჩვენ ნანულის ვეძახით, ესენი კი ურცხვად იჭვრიტებიან... გვხედავდურებენ ძილი რად დაგვიფრთხეთო! გაგონილა? ჩვენ ხომ ნანულის ვეძახით და არა მათ!

მეგობრებო!

ეროვნული

გიორგი თეთაძე

ვერსად, ვერც ერთ სადგურზე იმდენ უსაქმო ხალხს ვერ ნახავთ მატარებლების მიღებისა და გაცილების დროს, როგორც ცხაკაიაში.

ცხაკაიაში არც ერთ მატარებელზე არ დაგავიანდებათ, რადგან ქუჩაში პირველ შემხვედრს მატარებლების მიმოსვლის გრაფიკი რომ შეეკითხოთ, ერწმუნეთ, ცნობათა ბიუროზე სწორსა და ზუსტ პასუხს მოგცემთ.

მატარებლების დახვედრის სიყვარული ცხაკაიელებს, ალბათ, რკინიგზის ახალმა შესანიშნავმა შენობამ გაუღვივა. რა ვუყოთ, ეს ხომ ჩვეულებაა და სხვა არაფერი? მოგესვენებათ, უნაკლო ადამიანი არ არსებობს. გავარღვიოთ ბაქანზე მოსიარულე ხალხი, გავიდეთ ქალაქში და დავცვეთ მის ქუჩებს.

პაპადგოური ქუჩები

ქალაქის ცენტრალურ ნაწილს კიდევ არა უჭირს, მაგრამ სხვა ქუჩები კი სრულიად მოუვლელია. ჭავჭავაძისა და შმიდტის ქუჩების კუთხეში დღედაღამ საპნიანი წყლის გუბე დგას. ამბობენ, ეს გუბე დიდი ხნის განმავლობაში ცხაკაიას კომუნალური მეურნეობის მუშაკთა თავსატეხი ამოცანა იყო. ერთხანს მინერალური წყალიც კი ეგონათ (მენჯის ტიპისა), მაგრამ ბოლოს ერთ-ერთ მათგანს მოაგონდა, რომ ამ მიდამოებში სადღაც საქალაქო აბანო უნდა ყოფილიყო. (დაავიწყდათ აბანოს არსებობა, თავი კი არ სტკიოდათ თავიანთ აბანოში ევლოთ!) მალე მიწის ქვეშ გატეხილი მილიც აღმოაჩინეს... აღმოაჩინეს, დამზვიდნენ და თავი მიანებეს. საპნიანი წყლის გუბე კი დღესაც აშშორებს იმ მიდამოს.

ზარბაზნი გაქსები

ტაქსებს ცხაკაიაშიც შეხვდებით, მაგრამ ძალზე ზარბაზნი არიან, გვიან გამოდიან სამუშაოდ. ესეც არაფერი, გარაჟიდან გამოსვლისთანავე ქალაქის მოპირდაპირე მხრისაკენ, სოფელ შეხევისაკენ გაქროლდებიან. თურმე, ნუ იტყვით, გარაჟი რომ ქალაქის ერთ ბოლოშია, ბენზინის ჩასასხმელი მეორე მხარეს, სოფელ შეხეშში არის მოწყობილი. მათ შორის მანძილი ოთხი კილომეტრია. ნეტავი რა იქნებოდა, ტაქსების გარაჟის ამშენებელს იქვე ბენზინის ჩასასხმელიც აეშენებინა, მაშინ ტაქსებს ბენზინიცა და დროც ნაკლები დაეზარალებოდათ.

უკულკაროდ მიგდებული კულგარის ბაღი

თქვენ გგონიათ, ცხაკაიაში კულტურისა და დასვენების ბაღი არ არსებობს?.. აბა, გაიარეთ ქალაქის შუაგულისაკენ! აღმისკომის შენობის გვერდით დამტვრეულ ლობეს რომ მიადგებით, თქვენ კულტურისა და დასვენების ბაღის შესასვლელთან აღმოჩნდებით. რა ვუყოთ, რომ იგი სრულიად უპატრონოდ მიტოვებულია, რომ დასვენების პარკში დასასვენებლად განკუთვნილი ოთხიოდე სკამია და ისიც დამპალი და ჩამოსაჯდომად უფარგისი, რომ საცეკვაო მოედანზე დათვივით თუ იძუძულებ, თორემ საცეკვაოდ გამოუსადეგარია. სამაგიეროდ, იგი ხომ ატარებს კულტურისა და დასვენების ბაღის სახელს, განა ეს საკმარისი არ არის?!

ყველაფერ ამას მატარებლიდანაც კი ხედავენ მგზავრები.

მაგრამ მგზავრები სხვა რამესაც ხედავენ. მათ ცხაკაია შორიდან ლამაზ ქალაქად ეჩვენებათ. როდესაც ახლოდანაც ქალაქი ასეთივე კარგი გამოჩნდება, მაშინ ცხაკაიელებსაც საამაყო მეტი ექნებათ!..

მომავალ შეხვედრამდე!..

გ. სიმონიშვილი

აქვს ავტობუსი მელია



მელა დიდი კაცია,
იცით როგორ აცვია?
აქვს თავისი მანქანა,
ცოლიცა ჰყავს ქაქანა.
მისი ბინაც ფართოა,
მამამ მდიდრად დატოვა.
შეებიჯეს კარებში,
თვალეზს მოგებრის ავეჯი:
აქ ესა და იქ ისა,
რაც კი გინდა, სულიცო,
ყველაფერი რიგისა,
არაფერი ურიგო.
— სად მუშაობს მელია?
მომმარაგებელია.
— მაინც გასაკვირია.
— შენ რას ავიხიროა!..
სხვების საქმეს განაგებს
თავს ვერ მოიმარაგებს?
— საკუთარის გარჯითა?
— სახელმწიფო ხარჯითა
— ეგ შეუძლებელია.
— ამას ავტობუსი მელია.

მ. ძარჩავა



ნან. ირ. გორდეღაძისა

სპეკულანტი — რაც მანდ ვერ იზოვნოთ, ჩემთან
მოდიო, მე მოგყიდით!..
მოსწავლე — თქვენ, რა, ძია, ამ მაღაზიის გამგე ხართ?
სპეკულანტი — არა, მისი კარგი ნაცნობი.

მართებულად არ შეგუარხია

სოფელი ახალდაბა არცთუ ისე ახალი სოფელია ოჩამჩირის რაიონში. კულტურულ-საზოგადოებრივი დაწესებულებებიც ბევრია აქ, მხოლოდ ერთი საექიმო პუნქტია შედარებით ახალი. წესის მიხედვით ეს სასარგებლო დაწესებულება უნაკლოდ უნდა იყოს მოწყობილი. ასეც იყო განზრახული, სამი ოთახი იმითომ გამოუყვეს მას ბინად, მაგრამ... მაგარიც ის არი, რომ

სამი ოთახიდან პუნქტს მხოლოდ ერთი ოთახი-ლა დარჩა.

— დანარჩენი ორი ოთახი სადღა გაქრაო? — იკითხავთ თქვენ.

სრულებითაც არ გამქრალა, იმ ორი ოთახში ექიმმა ვეიზმანმა საკუთარი ოჯახი მოაწყო. ვეიზმანის ცოლს კი პუნქტი მის საკუთრებად მოეჩვენა და მის აივანზე ავადმყოფებს არ უშვებს. თუ ცუდი ამინდია, წვიმს, ან პაპანა-

ქებაა, — ავადმყოფები გარეთ, ცისქვეშ დგანან, თუ ვინმემ აივანზე ასვლა გაბედა, ექიმის შეუღლე-დიასახლისი ვალია ხელისკერით, ან ცოცხის ქნევით ერეკება მათ გარეთ და „საჭირო შემთხვევაში“ თვით ვეიზმანიც ეხმარება მას.

შენ ხომ არ იცი, ნიანგო, რით ამართლებენ ასეთ მოქმედებას ცოლ-ქმარნი?

ცისანა ზედლიძე

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირა-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

გამომც. № 21, ხელმოწ. დასაბ. 29/X-1954 წ. ქალ. ზომა 70×108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,57. „ზარია ვოსტოკას“ სტამბა, რუსთაველის პროსპ. 42, შეფ. № 2499 უფ. 18901 ტირ. 20.000

